ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-69.69220385**
თარიღი:**07/02/2022**

დაბა ხარაგაულში,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე(რიყე) 1455 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობების (ს/კ 36.01.31.369) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 20 იანვრის **N 5 / 2543** მომართვის თანახმად, დაბა ხარაგაულში,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე(რიყე) 1455 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები (ს/კ 36.01.31.369) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ, შემდგომში სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი